№ 187
ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1899 წ.

1877—1899

ივერია

№ 187
ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტროქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეორეგვერდ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ფასი ივერიისა:

	მან.	კ.			მან.	კ.
...	10	—		6 ...	6	—
2 ...	9	50		5 ...	5	50
1 ...	8	75		4 ...	4	75
0 ...	8	—		3 ...	3	50
9 ...	7	25		2 ...	2	75
8 ...	6	50		1 ...	1	50
7 ...						

ცალკე ნომერი—ერთი შაური

მეორე ხარისხის

სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოფოვისა

შესდგება ორმა მოსამზადებელ კლასისა (უფროსისა და უმცროსისაგან) და სამის გიმნაზიურ კლასისაგან, რომელნიც პროგრამით მთავრობის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების იმავე კლასების პროგრამებს უდრის. ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტის კორპუსებსა და სხვა სასწავლებელშ. ასწავლიან აგრეთვე მუსიკასა და ცეკვას. ქართველ-ბავშვებისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ქართულ ენისა და საღმრთო წერილის სწავლებას. ქართულს ენასა და საღმრთო წერილს, როგორც წინაც, ეწო�ა ასწავლის მღვდელი ანტონ თოროსაძე. ადრესი: ტფილისი, სოფლელაკი, ჭანოვის ქუჩა, № 11 (ვაჟთა მესამე გიმნაზიის მახლობლად). (3—138—1)

მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

სასტუმრო

„აბაშა“

ტფილისის მეორე მაღაზიის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილს არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარეზედ ფელის ავეტალის კონაკი.

ოთახები საუცხოოდ არის მორთული და მოწყობილი.

ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი:

დღეში 60 კაპეიკიდან 1 მან. 50 კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფიან.
(10—97—9) დავშთები მარად პატივის მცემელი ნიკო თოფფერაძე.

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ლ. კუზანოვისა

ბებუთოვის ქუჩა (უფინდელი სადავო) სოლოლაკში, სახლი ექიმის ქორჩორიანცის № 50.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტთა კორპუსებსა და სხვანი შესაფერნად.

მოსწავლეების მიღება პანსიონში მოხდება 24 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (7—139—7)

ფელეტონი

ჩვენის ხალხის ზნე-ჩვეულებანი.

(დასასრული *)

წესი ქორწინებისა. მოიწონა ახალგაზდას რომელიმე გოგონა ნახვით დღეობაში, ეკლესიაში, თუ სხვაგან სადმე. მოიწონა ოჯახმაც მისი ხასლში მოყვანა, ჰკაზვნიან შუაკაცებს შუაკაცი, ენა-ტკბილი და გამოცდილი კაცი, ხელში ბალღოჯის ჯოხს იღებს,—ამბობენ ამ ჯოხის დამჭერს შუა კაცს საქმე არ გაუბირდებიო. სალამ ქალამის შემდეგ პირდაპირ საქმეზედ გადადიან და თუ ერთმანეთს მოიწონებენ, ნიშნის მოტანის დღეს ჰნიშნავენ, ამ დღისთვის ვაჟიანი, ანუ, როგორც ჩვენშე ეძახიან, დაბალისლიანი, აცხობენ ცხრა ქადას, ცხრა ნაზუქს, ცხრა გარეჯულს *), ცხრა ყველ ლავაშს, იღებენ ცხრა ხელადა არაყს **), რამდენიმე ცხრა კვერცხს, ქათამს, ბატს, ინდოურს, საკლავს, სატკბილობელს, ქალისთვის ნიშნად ბეჭედს, ბადადს და კაბა ფეხსაცმელს. სტენდენ ხურჯინებს და მიდიან ქალიანთან, აქ იმართება ლხინი, ვაჟი-კი იქ არაა. დარბაის ლიანი ყველაფერში თავაზიანად ექცევიან ქალიანთ. სადილზედ ტკბილის კილოთი სთხოვენ ქალის პატრონთ: „ეს რა კი გვიკადრეთ და ქალს გვაძლევთ, ძაან ნუ შეგვკიდებთო, ჩვენც ამას იქით ერთმანეთისანი ვართ და ჩვენი ბარალი, თქვენი ბარალიაო“. ამ თქმის შემდეგ ქალის პატრონი იტყვის, თუ რამდენი თუმანი უნდა მოუტანონ ვაჟიანთ და ან რა ხარჯით უნდა მოვიდნენ საქორწინოდ. ბერი შეიკიდებს: ათსა და რვა თუმანს დაუწყებს თხოვნას, ქორწილში ძროხის მოყვანას და დიდის ნამცხვარის მოტანას. მაგრამ აქ ბეზამენენი დაიბავებენ ხოლმე საქმეს, ეხლა ქალის პატრონი ხუთსა და ექვს თუმანზე ზევით ალარ მიდის. ვაჟიანთ ეს ფული უნდა მოუტანონ დროზედ, რომ ქალიანთ ამითი მზითევი უყიდონ და ისე მოამზადონ ქალი წასაყვანად. რიგიანი ქალის ნათესავნი ამ ფულს თავისასაც უმატებენ და კაი მზითევს უკეთებენ; ფუწსონი ამ ფულსაც თითონ ჰხარჯავენ. მაშასადამე ქრთამი ქალის მხრით აქ სრულებით არაა ვლეხობაში, სამაგიეროდ ვაჟი ეხლის ქრთამს, რადგან ოჯახში მეშა ხელი მიჰყავს. რაც უფრო ჯანსაღია ქალი, იმდენს მეტს თხოულობს სასიძოსაგან სასიმამრო. ეს ჩვეულება ყველგან საქართველოში ბლეხთა შორის საერთო ყოფილა ამ ათიოდე წლების წინეთ, მხოლოდ ეხლა ბარში ბლეხის ქალებსაც ქრთამი გაუჩინეს და სამართლიანადაც: ბარში ქალი ხელოფუნარი შეიქმნა, დღეობაში ქოლგა ადგა, პოლსპოტეკების ჭრაჭუნით, ბადადლეზჩაში და ხელთათმანებში გამოწყობილი მიდის დღეობას და გვერდზედ მისდევს ქმარი, ათას კონკით ჩოხა-დაკერებული, ქალამნებ დაღლეჯილი და შრომისაგან მიხრწნილი...

ქორწილსა და წაყვანამდის ვაჟს პატრონები მეტად ტკბილად და მოწიწებით ეექცევიან ქალის პატრონებს, ყოველ უქმე დღეს მოსაკითხს და ფეშქაშებს უგზავნიან: ცხრად დაფილი სანოვაგე არა ერთხელ მიუვთ. ეხლა—ამ შეთხვევაში მეტად მარჯვე და მიღებულ რიცხვად მიიჩნიეთ. თუ არ ულოლიავეს ვაჟიანთ, შეიძლება ქალი სხვაზედ გაათხოვონ, ვაჟი დაიწუწონ და ქვეყანაში გამოასალმონ. აქ ჩვენებურად ქალი-კი არ ეხვეწება „შემირთეო“—ვაჟი ყველს უწევს „მომყეო“. ამაზედ არის ნათქვამი ძველათვე ლექსი:

„სიძესა ცოლეფურთანა
გამოჩენება უნდაო.
დიდთანა და პატარასთანა
ჩოქით სალამი უნდაო!“

თრიალეთზედ ხშირად ჯერ კიდევ ქალის მოტაცება: თუ ვაჟს უარი მოუვიდა ქალიანთგან, ეცდება მომხრეები იშოვოს, ერთ დამეს დაეცემა ქალიანთ, სახლს, მოიტაცებს საპატარძლოს და მოიყვანს თავისს სახლში. ჩხუბი და იარაღის ხმარებაც გაჩნდება ხოლმე, მაგრამ საქმე მაინც მორიგებით თავდება. უფრო ხშირად ქალი შეიყვარებს ვაჟს და მამის სახლიდგან გამოიპარება, თითონ მოვა საკრმოსთან და გადიხდიან ხოლმე უდავიდარაბოდ ქორწილს. ერთი წელიწადია ამ ხალხში ეცხოვრობ და მარტო სოფელ დიდ გომარეთში ქალის მოტაცება მოჰხდა სამი და ქალის გაყოლა ოთხი. ვერც მოაშლევინებს კაცი ჯერ-ჯერობით ამ ჩვეულებას. სასაძდულოდ ეს-კი უნდა ითქვას, რომ მოტაცება არ მოხდება ხოლმე, თუ ქალისაგან „პირი“ არ აიღეს...

ქორწინებას თვე ღვინობისთვის გასული და გორგობისთვეებია. თუ შაბათს არ დაიწერა აქაურმა ბლეხმა ჯვარი და სამი დღე ხსნილი არა აქვს, არ შეიძლება *). აი ვაჟის სახლში შეიკრიბებიან პურის მცხობელი დედაკაცები. სახლის რძლები ბლომადა ჰყრიან არაყში შაქარს და ასმევენ ამათ. ესენიც დღეგის დროს მალ მალე ეტყვიან: „ღმერთმა ტკბილი რძალი აღირსოს თქვენ ოჯახსაო!“ თვით რძლებიც გადაფუმენ დაშაქრულ არაყს და ისურვებენ გულით: „ღერთო, ტკბილი რძალი გვაღირსეო!“ ნუ მოისურვებენ და ვი ოჯახის ბრალი და თვით იმათაც, ...

*) ბარში მარხვის ჭამას და ოთხშაბათ-პარასკევს აღარ დასდევენ, საუბედურად.

ქ. ქუთაისში
პიანისტკა
რ. მატროსოვიჩი,
რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.
ადრესი: ნემსაძის სახლი, სადაც სტეფანოვის სანაქერი ა. გ. ეკატერინა (ბაზარის ბაზის საგზურის ახლოს).
(15—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ტფილისი, ფორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფნი იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილამბამით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტატერო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. ნეულებანი: თვალისა, შინაგანი ანერვეებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენნი ავადმყოფებს.
ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. ბეჩკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობითი:
ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დარეკტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—ფ).

ახალი აბაზი

*** 28 აგვისტოს, კავკასიის მთავარმართველი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი ტფილისში დაბრუნდა ესსენტუკიდგან თავისის მეუღლითურთ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ-ნს ზავაროვს საზოგადოებისათვის განცხადება წარუდგენია, რომელშიაც იხსენიებს ხსენებულ საზოგადოების 50 წლის იუბილეის და საკრაოდ სცნობს სახსოვარ ჰყონ ეს იუბილეი 1901 წ. სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამართვით და კავკასიის სოფლის მეურნეთა კრების მიწვევით. ამის გამო განცხადების დამწერი წინადადებას აძლევს საზოგადოებას, რომ როცა ტფილისში მიწად-მოქმედების მინისტრი ა. ს. ერმოლოვი ჩამოვა, სთხოვეთ ამ გამოფენისა და კრების გამართვის ნებართვა და აგრეთვე დახმარებაო.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ-ნს ზავაროვს საზოგადოებისათვის განცხადება წარუდგენია, რომელშიაც აუწერია გაჭრევებული მდგომარეობა ამიერ-კავკასიის იმ სოფლებისა, სადაც გვალვასა და სეტყვის გამო სრულიად არ მოსულა პური, ბალახი და ყურძენი, და წინადადება მიუცია, შედგენილ იქმნას დაუყოვნებლივ სამაზრო კომიტეტები სხვა და სხვა ადგილების გაჭირვების გამოსარკვევად და დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენ ლონის-ძიებათა გამოსაძებნად, აგრეთვე შეამდგომლობის აღსაძვრელად იმის შესახებ, რომ დაზარალებულ მცხოვრებთ ნება მიეცეთ მოსჭრან ხეები სახაზინო ტყეებში, დასცალდეთ დარჩენილ ხარჯებისა და ახალ გარდასახადების შეტანა, მიეცეთ შემწეობა ყანების დასათესათოო და სხვ... განცხადების დამწერი სთხოვს საზოგადოების საბჭოს, მოიწვიეთ ახლო მომავალში საზოგადოების წევრთა საერთო კრება აღძრულ საქმის გარდასაწყვეტადოო.

*** თუ როგორ მრავალია ადგილობრივ სამოწყალო სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რიცხვი, ამას შემდეგი ამბავიც გვიმტკიცებს: კლასიკურ გიმნაზიების უმეტესს კლასებში შესასვლელად ეგზამენი მოიხადა 600 ყმაწვილმა, ხოლო მიღებულ იქმნა 132 მოსწავლე.

*** კახეთის რკინის გზის გამოკვლევა უკვე დაუმთავრებიათ. გამოკვლევა დაუწყიათ ზემო ავჭალიდგან თელავისაკენ და გაუთავებიათ სიღნაღში. განზრახვა აქვთ, სიღნაღის იქითაც განაგრძონ გამოკვლევა ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგ. ელვახამდე.

*** სამხედრო ბეგარის საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა, რომ მიმდინარე წლიდგან სამხედრო ბეგარის მოსახდელად მოწვეული ყმაწვილი კაცნი არ იქმნან განაწილებულ-

*) იხ. „ივერია“ № 187.
*) უშველებელი მრგვალი პურებია.
**) აქ ღვინო არაა და შინაური არაყს სულადისას ხმარობენ ღვინის მაგიერ.

ნი ორ რიგად: „ადგილობრივ მკვიდრებად“ და „არა ადგილობრივ მკვიდრებად“.

*** 27 აგვისტოს მოხდა ქართულ დრამატიულ კომიტეტის სხდომა. სექტემბრის პირველ ნახევარში სათავად-აზნ. თეატრში გაიმართება გამოსაცდელი წარმოდგენები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ სცენაზედ ახლად გამოსვლის მსურველნი.

*** როგორც ისმის, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი 7 სექტემბერს ნოვოროსსიისკში ჩამოვა, იქიდგან გამოემგზავრება ტუაპსესა, სოჩსა, სოხუმსა, ბათუმსა და ტფილისში, ხოლო 25 სექტემბრისათვის ბაკოში წავა.

*** საერო განათლების სამინისტრომ დამტკიცა დებულება განსვენებულ ნ. ე. ზუბალაშვილის სტიპენდიის შესახებ, რომელიც დაარსებულ იქმნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველოში და რომელიც შეიკავებ 8000 მან. დებულების ძალით ამ თანხის სარგებელი მოხმარებულ იქმნება გორის მაზრის ერთ-ერთ ღარიბეს აზნაურიშვილის აღსაზრდელად. თხოვნები სტიპენდიის დანიშვნის შესახებ უნდა წარდგენილ იქნეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სახელზედ.

*** რადგან დიდუბესა და ნაძალადევს შუა მიმოსვლა რკინის გზის ლიანდაგის გამო გაძნელებულია, ამიტომ პოლიციმეისტრის თანამდ. აღმასრულებელი შუამდგომლობს, რომ ამ ორს ადგილს შუა გაკეთებულ იქმნას ლიანდაგზედ პირდაპირი გადასასვლელი გზა.

*** ოზურგეთიდგან იუწყებიან, რომ სათანადო უწყებას განხრახავ-ს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ დათმობილ იქმნას ადგილობრივის სასწავლებლისათვის თავისუფალი ადგილი.

*** სათანადო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ის სოფლელები, რომელთაც ტფილისში თავიანთი ნაწარმოები შემოაქვთ გასასყიდად, განთავისუფლებულ იქმნან გარდასახდისაგან.

*** კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრება ამ გუბერნიის სასოფლო მეურნეობის დასათვალიერებლად.

6 სექტემბერს დანიშნულია გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია.

*** განზრახავ აქვთ, როგორც ისმის, შეიმუშაონ წესები იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში რუსეთიდგან გადმოსახლებულთა თოფ-იარაღი მიეცეთ ყაჩაღებისაგან დასაცველად.

*** 1900 წ. 1-ლ იანვრიდგან გავრცელებულ იქმნება აქციები ნავთზედ ქალაქს ბაკოშიაც.

*** ქუთაისიდგან „ახ. მიმ.“-ს იუწყებდნენ, რომ ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდება სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია.

*** განზრახავ აქვთ, როგორც „ახ. მიმ.“ სწერს, დაიწესონ განსაკუთრებული ზედამხედველობა კავკასიის სახაზინო ადგილ მამულების დასაცველად.

*** სოფ. ძველიგვაზი, (თელეთის მაზრა). დღემდის აქ არავითარი სასწავლებელი არ არსებობდა, მაგრამ დღესაც ჩვენის ბოქაულის და ადგილობრივის ადმინისტრაციის შთაგონებით, აქ გახსნეს ერთ-კლასიანი საკვლევიანი სამრეველო სასწავლებელი, სადაც უსასყიდოდ ასწავლიან ჩვენს ორის შტატს ეკუთვნილ კრებულნი.

*** დ. ჩხარი, (შორაპნის მაზრა). აქ აბრდება პირველ დაწყებითი სკოლა. ამ ფრიად კეთილ საქმის სასრულეზედ მოუკლია თანაშემწის ბ-ნ შმაკინის მეუღლე. ამ პატოსანს მანდილოსანს სწყალ აქვს დამთავრებული ტფილისის სკოლა.

რუსეთი

—

ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულო შეიქმნას საგუბერნიო და საოლქო საავადმყოფოებთან საფერშლო კურსების დაარსება როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთათვის.

— განზრახულია საარჩევანო უფლება მიეცეთ იმ მდგმერთ, რომელნიც წელიწადში სულ მცირე 1080 მანეთს იხდიან ბინაში.

— პეტერბურგში არსდება ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება იმ ქალთათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც სხვა და სხვა გვარ ხელოვნებას სწავლობენ.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განსახილველად გარდაეცა პროექტი ახალ საზოგადოებისა, რომელსაც სახელად ეწოდება „რუსეთში სამკურნეო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება.“

— საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქთა სამზრუნველო საბჭოებს, განიხილეთ საშუალო სასწავლებლებში სწავლის ნიშნების წესი-რიგის შეცვლის საქმეო.

დამაკვირდ

მდიდარი მონაზ. ლირბაია, ვინაითგან თვით იგიცა და მისი ყოველიცა ეკუთვნის მის პატრონს.

ლასურიძე

* * *

თუ ქვეყანა გოსოკს შრომასა და ლეკვზს, ოფლიზედ და ლეკვზ, მსსოებელი, რომ საერო გვირგვინსაც მოიგებ.

ლასურიძე

ᲧᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს ინგლისსა და ამერიკაში რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ჯვარის-წერა ეკლესიის ნაცვლად გემზედ მოხდა. საზოგადოდ ამ გვარი ქორწინება თანდათან ვრცელდება ამერიკასა და ინგლისში. სხვათა შორის ერთი ასეთი ქორწინება ამას წინად მდინარე ტემზაზედ, რემენგაშში (ლონდონის მახლობლად) მოხდა. გემზედ შეიკრიბა 200-მდე ქალი და კაცი საქორწილოდ გამოწყობილი. იქვე გამართეს პატარა საკურთხეველი, სადაც მღვდელმა ახალ-გაბრდათ ჯვარი დასწერა. ჯვარის წერისა და მცირე საუზმის შემდეგ, ახალგაზდნი ნავით, რომელიც ელექტრონს მოჰყვედა მოძღოობაში, სამოგზაუროდ წავიდნენ. ამერიკაში ასეთი ჯვარის წერა უფრო კიდეე იმიტომ ვრცელდება, რომ ადგილობრივის კანონით ახალგაზდათ უფლება აქვთ დედ-მამის ნება-დაურთველად ნაპირიდგან სამის მილის სიშორეზედ ჯვარი დაიწერონ. ასეთი ჯვრისწერა უკანონიერესად ითვლება ამერიკაში.

* * *

გაზეთებში გამოქვეყნებულია ამას წინად გარდაცვალებულის ბარონესსა კლარა. გირშის ანდერძი. ბარონესსას ამ რიგად გაუნაწილებია თავისი დიდ-ძალი ქონება: ხუთასი ათეული ფრანკი უანდერძებია თავის შვილობილებისათვის (ვაკეთისათვის); ამათვე თითოს თხუთმეტ-თხუთმეტი მილიონი, როდესაც 35 წლის შესრულდებიან; ქალისთვის (ესეც შვილობილია)—ენლავე ერთი მილიონი, ხოლო როდესაც 35 წლისა შესრულდება, 10 მილიონი; აუარებელ ნათესავებისა და მახლობელთათვის, თითოს—20 ათასიდგან 1 მილიონამდე. ამას გარდა სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებას შესწირა თურმე: „ებრაელთა ახალშენების დამაარსებელ საზოგადოებას“—10 მილიონი ფრანკი; ბარონ გირშს მიერ ნიუ-იორკში დაარსებულ სხვა-და-სხვა ეკლესიებულებებს—6 მილიონი, გალიციის საქველ-მოქმედო დაწესებულებებს—5 მილიონი, ებრაელთა სასწავლებლებს—7 მილიონი, სხვა-და-სხვა უნივერსიტეტს — 6.250,000; საქველ-მოქმედო საზოგადოებებს—6.750,000 და სხვა და სხვა. სულ სამოსწავლო და საქველ-მოქმედო დაწესებულებებისათვის ბარონესსა გირშს შეუწირავს 70 მილიონი ფრანკი. სხვა-და-სხვა კოლექციები ნივთებისა, ძველის ფულისა, ხელთ-ნაწერებისა და გრავიურებისა განსვენებულს შეუწირავს ბელგიის მთავრობისათვის.

* * *

მეტად მოხერხებული ქურდობა ჩაუდენია ამას წინად მატარებელში ქ. ეკატერინოსლავის მახლობლად ერთს მგზავრს. ამ მატარებლის მესამე კლასის ვაგონში სხვა მგზავრებთან ერთად იყვნენ თურმე ორი კარგად ჩაცმული ვაჭველი კაცი. გზაზედ ორიგენი ერთად ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. რამდენიმე სადგური რომ გაიარა მატარებელმა, უფროსი, გვარად პისარევსკი, დაღლილი იქვე წამოწვა, უმცროსი გვერდზედ მოუჯდა და წიგნს დაეწყო კითხვა. ამ კითხვაში წამოწოლილ პისარევსკის დაეძინა. როდესაც მატარებელი სადგურს ეკატერინოსლავს მიუახლოვდა, პისარევსკისთან მდგომი ფეხზედ წამოდგა, ვაგონში მყოფ საზოგადოებას მიჰპრანთა და სთხოვა, „უშიროდდება მიაქციეთ ჩემ ძმას, დაეძინა და მეშინიან არაფერი მოჰპარონო“. „მაგრამ,—დაუმატა შემდეგ საჩქაროდ,—რაღა თქვენ შეგაწუხოთ, ნივთებს თან წავიღებ და ის იქნება“. ამ სიტყვასთან ერთად აუწსნია ძმინარეესათვის ძვირფასი საათი ძეწკვეთ, ჯიბიდგან ამოუღია ქისა და წასულა. სადგურზედ პისარევსკის გამოუღვიძია და საათი და ქისა მოუკითხნია. „ნუ ვეშინიანო, თქვენმა ძმამ წაიღოო“.—უთქვამთ მგზავრებს.—რომელმა ძმამ, აქ ჩემი ძმა არავინ იყო“!—წამოიოტაცნია გაკვირვებულს პისარევსკის.—აი, თქვენთან რომ იჯდა და გელაპარაკებოდათ. აღმოჩნდა, რომ ფულისა და საათის წამღები ძმა არა ყოფილა; პისარევსკის გზაზედ გამოსცაფრებია და უთქვამს, რომ მე მხატვარი გომბერგი ვარ.

თუ ცხარე რძალი ეღირსათ... დაიკუპება ოჯახი, აირ-დაირევა ძველებური ღვთიური განწყობილება!.. სამეფო ტოლ ბიქებს აგროვებს, მოლხინეთ. ოჯახის უფროსი კაცები ჰშოულობენ ნათლიას, მოჰყავთ სალკლავები, ამზადებენ სასმელს, ხორაგს, ჰგზავნიან მოკეთეებში მოპატიჟეთ. აი შეიკრიბნენ მაყრებიც და შემოუხდნენ სუფრას. აირჩიეს ეჯიფი, რომელიც ქორწილის დროს სუფრის მოთავდარიგე უნდა იყოს. მეფეს ჰრთვენენ: ტანთ ჩოხას აცმევენ, ფეხებზე ჩექმებს, ჰშოულობენ ბუხრის ქუდს, აუცილობლივ წელზედ ხმალს არტყავენ, ყელზედ ბაღდადს და ზემოდგან იაფინჯს. ვიდრე სასიძოს მოამზადებდნენ, მაყრებმა კარგად გადაჭკრეს და ახლა მორთული სასიძოს იწვევენ სუფრაზედ „შენაყრდი, შვილოსან, თორემ გზაზე კოჩაღად ვერ იქმნებიო!“ და იწყება ისევ სადღეგრძელოები და სმეულობა. ბოლოს ეჯიფი საპიროდ წასვლას დაინახავს და უბრძანებს მოიტანონ ალავი. მაყრებ წინ იშლება ბოღჩა და ზედ ალაგებენ პატარძლისათვის ტანსაცმელს, „პოლსაბოშკებს“, ზედ აწყობენ უშველებელ ყათმარს, მსუქან ქადებს და მშვენიერად დაჭრილებულ ჯვრის პურს. ჯვრის პურში მეჯვარე ხაბაჩკელებს ფულს აძღვენს. ბოხჩაშიგე სდგებენ სამ ღერ წმიდა სანთელს და შაქრის პატარა თავს და გვერდზედ უდგავენ ჭურჭლით არაყს. მერე ყველა ამას ახვევენ და სდებენ ხურჯინში. ხურჯინს უფრო სინდისიან და საიმედო მაყარს ამანებენ. ამის შემდეგ სხდებიან ცხენებზედ, სცლიან თოფებს, იყენებენ რაზმ შუა მეფეს და იწყებენ მშვენიერ მაყრულს. რაზმიდგან გამოსხლტებიან ცხენებით სამოიდე მაყარი, ისვრიან თოფებს და გააჭენებენ ქალიაანთ სოფლისკენ ცხენებს—ეს მახარობლების შეჯიბრება, რომელიც კი ცხენზედ ჰხის, ან ხერხიან გადუხ-გადმოუხვევს გზებს, ის მივა ადრე ქალიაანთას და სამახარობლოსაც ის აიღებს, მეორეებს შეჰჩრებათ მხოლოდ რბენა და ჯაფა. აი მივიდა ერთ ერთი მახარობელი ყველაზედ წინ ქალის პატრონის სახლთან, შიგ ეზოში ისვრის თოფს და იძახის: „მე ვარ მახარობელი თქვენი გამხარებელი, მაუბრევით ბალი, ამიხვიეთ მხარი“!.. ქალიაანთ შეუდგებათ სასახარულო ქოთქოთი, გამოვლენ ქალები, კაცები. ქალები ბაღდადით დასასჩუქრებენ და აუხვევენ მახარობელს მხარს. პირში შაქარს ჩაუდებენ. კაცები აწევდიან ხონჩით პურს, ხორაგს, შამფურით მწვადს და ხელადით არაყს. ამეებით მახარობელი მოჰქუსლავს უკანვე და შეეყრება მღერით მომავალს „მეფეონს“, ისინიც შეჩერდებიან, ქალიაანთ მოგზავნილით ცხენდაცხენ შეაყრდებიან და გასწევენ მღერა-ყიჟინით. ქალიაანიც გამოეგებებიან თოფების სროლით და ყიჟინით, ყიჟინა-თოფის-სროლა ჯ მღერა შეჩერდება ქალიაანთ სახლის კართან, სადაც ცხენებიდგან გადმოდიან და დამზადებულ დარბაზში შედიან.

მალე ეჯიფი და რამდენიმე პატიოსანი კაცი მიდიან მღვდელთან, რათა მოიწვიონ იგი ალავის საკურთხად. მობრძანდება მღვდელიც, ჩამოვარდება სიჩუმე ჯ გაისმის მეორე სახლში სიმღერა მაყრებისა, რომელთაც მოჰყავთ შემოსილი პატარძალი სიმღერითა და უყენებენ მეფეს გვერდზედ. პატარძალს მეორე სახლში ჰრთვენენ და ვიდრე მეჯვარე ქალებს საოსტატოს არ მისცემს, პატარძალს ისინიც არ ანებებენ. საოსტატო მანეთიდგან დაწყებული ვიდრე სამ მანეთამდე ადის. ერთად მდგარ მეფე-დედოფლის წინ იშლება ალაფის ბოღჩა, მღვდელი იღებს სამ ღერს სანთელს, ანთებს, მეფე-დედოფალსა და მეჯვარეს აძღვევს და მერე ამბობს საღდგრძელო კვერექს. დალოცვის შემდეგ, რათა კეთილად წარაყენოს უფალმან იგინი ჯვარის-წერად, მოერთმევთ ხოლმე არაყი (სიმწარე), შაქარი (სიტკბო) და ყათმანის ნაპერი (სიმსუქნე). მღვდელი წაბრძანდება საყდარში და ავალებს ეჯიბს, მალე მოვიდნენ ეკლესიაში ჯვარის დასაწერადაო. ალავის კურთხევა აქ ძველად არის დარჩენილი და მის დატოვების შესახებ ჯერ-ჯერობით კრინტსაც ვერ დასძრავს ვერავინ. თვით ჯვარის წერის დროს დიად უბედურებად მიაჩნიათ, თუ ან მეფეს, ან დედოფალს სანთელი გაუქრა. ეს მოასწავებს იმის მალე სიკვდილს, რომელსაც გაუქრა. იმიტომ მღვდელი მღვდელ-მოქმედების დროს უნდა ჰფრთხილობდეს, რომ ასეთი უბიზეზო ქმუნვა არ მიაყენოს ახალად შეუღლებულთ. აგრეთვე შან—სახლშივე, და რიგებით ზოგჯერ მეფეც და დედოფალიც სცდილობენ ფეხი დაასწროს და მეორეს დაადგას ფეზზედ. თუ მეფე დაასწრაბს ჯვარის-წერის დროს ფეხის დადგმას, მაშინ ცოლი იქმნება ქრმის მორჩილი, თუ ცოლმა დაადგა—ქმარი იქმნება ცოლის მორჩილი.

აგერ გამოვიდნენ ჯვარის წერის შემდეგ ეკლესიიდგან გვირგვინიანნი მეფე-დედოფალი. მაყრიონი თოფებს ისვრის სიხარულის ნიშნად და გაისმის ხმა წკრიალი და გუგუნა მაყრული. ენენი მიდიან დედოფლიაანთას, სადაც გახარებული დედ-მამა ქალისა კარებში ეგებება და შაჰარს უდებენ პირში მეფესაცა და დედოფალსაც. შიგ კარების დირესთან ულოცავენ ნათესავები. მერე იმართება ქალიაანთას ქორწილი. ერთ ერთ ტახტზედ მეფეანი, ანუ დარბაისელნი სხდებიან, მეორეზე დედოფლიანი და იმართება ამათში შეჭიშპებული სმა და მღერა. სუპატიო ადგილი მაინც დარბაისლებს უჭირავო. თუ დედოფალიანთ აჯობეს სმაში, მაშინ შერცხვენილ მეფეინთ ბეკს და იახტანს ფულით მიჰყიდიან ხოლმე და ისე გაგზავნენ. უიხტონოდ მეფეანი სახლში არ შეუშვებენ მაყრებს. იმიტომ დიდი ბრძოლა და სმის ოსტატობა იმართება ამათ შორის. თუ სძლიეს დარბაისლიანთ და მიიღეს ბეკ იახტანი, ერთი გასცალეთ კიდეე მოელით: წასვლა და დედოფლის წაყვანა არ შეუძლიანთ, ვიდრე ჯვარის ქალთმს არ მოჰკლავენ. სუფრა დათავებულია. სასიდეფრომ სიძეს ერმოკეტრცხი შეუწვა და მიიოთვა გამოსამშვიდობლად და ამ დროს ეჯიფი სუფრიდგან ბეჭვანის მარჯვე ოოფის მსროლელ მაყარს კარზედ. იქ დედოფლიანთ ჯვარედინ ჯოხზედ გაუკრავეთ ქათმის დედალი და გაგზავნილი მაყრი მანძილიდგან ესეარის თოფს. თუ მოარტყა და ქათამს მოკლა, ბომ აძღვევენ ამ ქათამს და ისიც შედის სუფრაზედ მსხდომ მაყრებთან და სთხოვს ეჯიფსა წასვლას. თუ ვერ მოკლა, სხვა მაყარს ჭგზავნის ეჯიფი, თუ ვერც ერთმა ვერ მოარტყა,—მაშინ რასაც დაიფსახებენ, ის ფული უნდა გადაიხადონ მეფეაანთ და მარტო მაშინ წამოვლენ შინ და წამოიყვანენ დედოფალს. რასაკვირველია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო, ნამდვილად-კი ჯიბგერი ყოფილა. პოლიციას თუმცა ბევრი უქებნია „მხატვარი“, მაგრამ ვერსად უპოვნია.

თეატრის მატიანე

კვირას, 29 აგვისტოს, ქართული თეატრის სცენის მოყვარეთ ნუმენტების ბაღში წარმოადგინეს ბ-ნ სუნ დუგანცევის ცნობილი პიესა „ხითბისაგან“.

წარმოდგენამ საზოგადოდ რიგიანად ჩაიარა, თუმცა ზოგიერთის მსახიობს მოუმზადებლობა და რაღაის უტოდანა-ობა ეტყობოდა. კარგი იქმნებოდა, რომ ზოგიერთს სცენის მოყვარეთაგან სცენაზედ არ ემსახურა და უფალეგო ადგილ სიტყვებს ჩამა-ტებით შეესა არ გაეფუჭებინა. ეს ნაკლი ყველაზედ მეტად ეტყობოდა ბ. საფარეოს, რომელიც მუტებსაც ულერებდა ქალებს, უშაფურ სიტყვებსაც ამბობდა, ოდონდ-კი სიტყვა-ხარხარი აეტანა მაყურებლთა შორის. ბუნებრივად ჩაეტარა თავისი როლი, გერასიმეს მასამსახურისა ბ-ნმა ხოსრაკეანმა. არა უშავდა-რა ბ-ნ ურუშაძესაც, მაგრამ დაბალის ხმითა დამარაკობდა. ახალგაზდა სცენის მოყვარე კარგად უნდა დაამსახურნოს, რომ სცენაზედ მოთამაშეს ყველაზედ მეტად ამშეენებს წმინდა ენა და მეტფოდ გამოთქმა სიტყვებისა.

თეატრის დარბაზში საშინელი უწესრიგობა სუფევდა: წარა მარა დაბარაკი, შეფფერებელი ოხუნჯობა და სხ. საკვირველი უფრო ის არის, რომ ამ აუწესობების მიზეზი ერთი მეთაოდარგეთაოკანი იყო, რომელიც ტოტა შეაბარაბებელი ბრძანდებოდა. წარმოდგენის გეკეთ დაწყებისა და გათავების შესახებ რაღა გითხრათ. ცხრის ნახევრის ნაცვალად წარმოდგენა ათის ნახევარზედ დაიწყო და თორეკენ საათზედ ძლივს გათავდა. წარმოდგენის ასე დაგვიანება დიდი შეტდომაა, მით უმეტეს, რომ ამ საღამოს ბევრი მდანიო ხალხი დაესწრო, ზოგიერთები პატარა ბაღდებითაც.

დამსწრე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აგვისტო

ბელგრადი. დღეს, დილით, დაიწყო მილანის მოკვლის განზრახვის საქმის გარჩევა.

პარიჟი. ლაბორიმი „ფიგაროს“ კორესპონდენტს უთხრა რენნში: გუშინ საღამოს დრეიფუსი ვინახულე სატუსაღოში და სულით დაცემული დამხვდი იმ ხვების გამო, რომელიც რენში დადისო. მან მითხრა: მე რომ მარტო ჩემი თავი მყავდეს ქვეყანაზედ, სიკვდილს ვამჯობინებდიო.

რენნი. რენნში წესიერების დასაცველად მიღებულია სერიოზული ღონის-ძიებანი. მრავალი ჯარი სამხედრო კლუბსა, რკინის გზის სადგურსა და სხვა და სხვა გვარ დაწესებულებათ იცავს. უმთავარეს ქუჩებზე ცხენოსანი ჟანდარმები დადიან.

სასამართლოს სხდომა ხალხის დასწრებით დაიწყო 7½ საათზედ. საზოგადოება წინანდელზედ უფრო ბევრია. ყველა დამსწრენი შესვლის დროს გაჩხრეკილ იქმნენ პოლიციის მიერ. მრავალი ჟანდარმი სდგას დარბაზში. დრეიფუსი ისევ დამშვიდებული შემოდის.

დემანჟი განაგრძობს თვისს სიტყვას. იგი უარჰყოფს მერსიეს და როუეს ჩვენებას და ამბობს, ბორდეროს ხელნაწერი უფრო ჯარის აფიცერს ეკუთვნის, ვიდრე დრეიფუსისო. დემანჟი წაიკითხა ესტერგაზის წერილები, რომლებიდანაც გამოიჩკვა, რომ ესტერგაზი 1894 წ. აგვისტოს დამდეგს შალონის მინდორზედ იყო და ამიტომ შეეძლო დასწრებოდა სროლას. დრეიფუსი-კი არ ყოფილა იქ. ყველა ამ მხრით, დემანჟის აზრით, ბრალდებას შეეძლო მხოლოდ განზრახვებს დამყარებოდა, ხოლო ნამდვილი საბუთი-კი დრეიფუსს წინააღმდეგ არა ჰქონიაო. შემდეგ დემანჟი აღნიშნავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს 1894 წლის ბრალდებასა და 1899 წლის ბრალდებას შორის. მერსიეს არა სჯერა ანრისა და ესტერგაზის ურთიერთობა და ანრი კი „სძაგელ კაცებს“ იხსენებდაო. დემანჟის ფიქრით, ანრი ამ სიტყვებით ესტერგაზისა და ვეილს ჰგულისხმობდა. ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, რომ დრეიფუსი ესტერგაზის და ვეილს იცნობდა. დემანჟი ამტკიცებს, რომ ესტერგაზის შეეძლო ეშოკნა შალონში ცნობები არტილერიის შედგენის შეცვლის შესახებ და სროლის სახლ-ძღვანელოც იშოვნაო. ეს ბრალდება დრეიფუსის წინააღმდეგ არც-კი არსებობსო. დემანჟი ამტკიცებს, დრეიფუსი ვერ დასწერდა სიტყვებს: „მე აღლუმზედ მივდივარო“. ბორდეროს ხელნაწერის შესახებ დემანჟი ამოწმებს ბერტილიონის შეცდომას. „ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც მოსამართლენი სათათბირო ოთახიდგან დარბაზში გამოვიდნენ, სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას სახეზე მოეთმენლობა ეტყობოდა. როდესაც თავმჯდომარემ წარმოსთქვა,—დასჯილ იქმნაო, ყველამ გაიკვირვა.

რენნი. განაჩენში ნათქვამია, რომ ბრალდებული ხუთის ხმის უმეტესობით ორის ხმის წინააღმდეგ დამნაშავედ იქმნა ცნობილი იმაში, რომ მას 1894 წელს კავშირი ჰქონდა უცხო სახელმწიფოს მთავრობასთან ან ერთ-ერთ იმის აგენტთან იმ აზრით, რომ გამოეწვია ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, რისთვისაც გადასცა ის შენიშვნები და საბუთის ქაღალდები, რომლებიც ბორდეროშია ჩამოთვლილი. განაჩენში ნათქვამია, რომ მოსამართლეთა უმრავლესობამ სცნო ზოგიერთ გარემოებათა გამო შესაძლებლად, რომ საჯელი შემსუბუქებულ იქმნას. თავმჯდომარემ წაიკითხა ის მუხლი, სადაც სასჯელია აღნიშნული. სასამართლომ 5 ხმის უმეტესობით 2 ხმის წინააღმდეგ გადაუწყვიტა დრეიფუს 10 წლით საპყრობილეში დაპატიმრება. საპელაციო სჩივრისათვის დრეიფუს ვადად 24 საათი მიეცა. არც კრებამდე და არც კრების შემდეგ მანიფესტაცია არ მომხდარა.

რენნი. როდესაც ოქმი წაიკითხეს, პოლკოვნიკმა ჟუომ განაცხადა, რომ მოსამართლენი აქ დარჩებიან, ვიდრე ხალხი დარბაზიდგან გაიკრიფებაო. „მე ვსთხოვ აქ მყოფნ,—დაუმატა ჟუომ,—წესიერად მოიქცენ, როგორიგათ გავიდნენ და არ გვიძულონ ძალა ვიხმაროთ.“ შემდეგ განაჩენი სასამართლოს მდივანმა დრეიფუს წაუკითხა მცირე დარბაზში, სადაც დარაჯნი იდგნენ. დრეიფუსმა აღელვებულად მოისმინა განაჩენი; შემდეგ სატუსაღოში წავიდა.

რენნი. რამდენისამე წუთის შემდეგ ლიცეის გარეშემო მყოფი ხალხი იქით-აქეთ გაიფანტა. როდესაც ალაფფის კარები გაიღეს, ჟურნალისტები დაუყოვნებლივ გარეთ გაცვივდნენ და სირბილით გაუდგნენ გზას.

პარიჟი. პარიჟის მცხოვრებნი მშვიდობიანად მიეგებნენ განაჩენს. მუშებსაც არაფერი აღელვება არ ეტყობოდათ.

რენნი. როგორც ამბობ, დრეიფუსს კორსიკაში წაიყვანენ და იქ კორტეს სიმაგრეში დაუპატიმრებენ.

რენნი. სასამართლოს გადაწყვეტილება დრეიფუს ლაბორიმ შეტყობინა. დემანჟმა, გრძელის სიტყვის წარმოთქმით მეტად დაღლილმა და აღელვებულმა, ამის გადაცემა ლაბორის მიანდო. „თქვენ ხელ-ახლა გადგიწყვეტეს სასჯელი,—წაიბუტბუტა ლაბორიმ, როდესაც დრეიფუსთან მივიდა,—მაგრამ ეშმაკის კუნძულს მაინც ასცდით“. დრეიფუსმა აღელვებულივ მიუგო: „ჩემი ცოლი დაამშვიდეთ და ანუგეშეთო!“. რამდენისამე წუთის შემდეგ განაჩენიც წაუკითხეს.

პარიჟი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო პროფექტებისაგან დეპეშები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ არავითარი მანიფესტაციები არ მოხდარაო.

რენნი. ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში დაყენებული ჯარი ამ ადგილებშივე დასტოვეს ახალ განკარგულებამდე. რენნის მცხოვრებნი გაზეთების რედაქციებთან იკრიბებიან და გაზეთებს უცდიან: არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

რენნი. დემანჟმა დრეიფუსი დარბაზის გვერდზედ ოთახში ინახულა. დრეიფუსი გადეხვია, ცრემლები ვეღარ შეიკავა და ტირილი დაიწყო. აღელვებული დემანჟი, მაშინვე გამოვიდა. ლაბორი და დემანჟი დღესვე პარიჟში დაბრუნდებიან.

პარიჟი. ჰკიცრობენ, რომ ეშმაკლესს სამხედრო სასამართლოს კიარა, საკასაციო პალატას მიანდობენ გაუქმებას განაჩენისას ფორმის დარღვევისა და რენნის სასამართლოს მიერ უფლების გადამეტების გამო. დამცველთ თვითაც აღნიშნეს რამდენიმე საბუთი, რომელიც კასსაციის ნებას აძლევთ და, სხვათა შორის, ის, რომ მოწმენი თავიანთ ჩვენებაში საბუთის ქაღალდებით და შენიშვნებით სარგებლობდნენ. ამბობენ, რომ ეშმაკის კუნძულზედ გატარებული დრო დრეიფუსს ჩაეთვლებაო.

პეტერბურგი. რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ სამარაში რაღაც გადმდები ავადმყოფობა გავრცელდაო, შაკის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ 15-დგან 26 აგვისტომდე მართლაც 8 კაცი გახდა ავად რაღაც გამოურკვეველის ავადმყოფობით. ამათგან 4 სრულიად მორჩა. როგორც შეკრებულის ცნობებიდგანა სჩანს, ეს ავადმყოფობა საშიში არ არის. ამ უკანასკნელ დღეებში ავად აღარავინ გამხდარა.

პარიჟი. პარიჟსა და იმის ახლო-მახლო დრეიფუსს საქმის განაჩენს მშვიდობიანად მიეგებენ.

შაბროლის ქუჩაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. პარიჟელებს აღარ ეინტერესებათ შაბროლის ქუჩის ამბავი.

ბელფორი. საღამოთი მანიფესტაცია მოხდა. გაისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს, შორს ჩვენგან ურიებო!“ შემდეგ ესე ასიოდე კაცი გაემართა ენ დრეიფუსის, დასჯილის ძმის სახლისაკენ და ჩაამტვრია ფანჯრები და შუაბანდი. ჟანდარმებმა გაჰფანტეს მანიფესტანტები. რამდენიმე კაცი დაპატიმრეს.

რენნი. დრეიფუსმა ღამე კარგად გაატარა. დილაზედ ხელი მოაწერა საკასაციო საჩივრის ქაღალდს.

პარიჟი. ვალდებულებანი დღეს ან ხვალ მიიღებს დემანჟს, რომელიც რენნის პროკესის შესახებ მოელაპარაკება. რეკიზიონისტები წინააღმდეგობას აცხადებენ დრეიფუსის ხელ-ახლა დასჯის გამო. „ბრძოლა ხელ-ახლა გაგრძელდება, ამბობენ ისინი,—სამოქალაქო და სამხედრო მართლმსაჯულების შორისაო“.

„Siele“ ამბობს: „ჩვენ კიდევ და კიდევ მოვითხოვთ საქმის ხელ-ახლა განხილვას და ჩვენსას უეჭველად გავიტანთო“.

ეორესი სწერს: „უნდა ვიმოქმედოთ. გამარჯვება ეეჭვეული იაო“.

„Pectit Parisien“-ი ამბობს, რომ განაჩენს უნდა მივეკვლეთ როგორც კანონიერ სიმართლეს და როგორც დასასრულს სამწუხარო საქმისასაო.

დრეიფუსს რევიზიონისტებმა ადრესი გადასცეს, რომელზედაც რამდენსამე ასს კაცს უწერია ხელი და რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ საქმეს თავს არ გავანებებთო.

მარსელი. საღამოთი მანიფესტაციები მოხდა პატრიოტთა ლიგის სადგომთან. 10-მდე კაცი დაპატიმრეს.

პარიჟი. აქ სრული მშვიდობიანობაა.

31 აგვისტო

პარიჟი. „ფიგარო“ ჰმოწმობს, რომ დრეიფუსის საპელაციო საჩივარს არ შეიწყნარებენო.

პარიჟი. საბესტიანე ფორი დროებით გაანთავისუფლეს.

შაბროლის ქუჩაზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გერენს უთქამს, რომ სურსათი მხოლოდ ორ დღეს მეყოფაო.

პარიჟი. „Tenps“-ი იმედს აცხადებს, რომ შეიძლება ლუბემ დრეიფუს სასჯელი აპატიოსო. ეს გარდაწყვეტილება საფრანგეთს დაიწყნარებსო.

Dep. de Toul.“-ში დაბეჭდილია ნალაპარაკევი მაორის კარიერისა. კარიერს უთქვამს, რომ დრეიფუსი ხუთის წლით უკვე დასჯილ იქმნა და შეუსაბამო არაფერია, რომ ეს დრო ჩაუთვლონო. მე ვფიქრობ, რომ დრეიფუსს სასჯელს აპატიებენო. ეს საუკეთესო საშუალება იქმნება აგიტაციის მოსასპობადაო.

ბოტენბურგი. გემი ნატგორტის ექსპედიციით, რომელიც ანდრეს დაეძებდა, შეხვდა გრენლანდიის აღმოსავლეთ ნაპირთან ერთ ნავს. ნატგორტს ვერაფერი შეუტყვია ანდრეს შესახებ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

წარსულ თვეში ემოგზაურობდით შავი ზღვის ნაპირა ადგილებში, სხვათა შორის, სოჩშიც მომიხდა ყოფნა, სადაც ავად გავხდი. მეტი ღონე არ იყო, უნდა მიმეშართნა წამლისთვის აფთიაქში. კაცი გავგზავნე საღამოს ექვს საათზედ და მოუთმენლად ველოდი ჯამალს. წამლის გამოტანების ნაცვლად ჩემი გაგზავნილი კაცი შემდეგის სიტყვით გამოესტუმრებინათ აფთიაქიდგან: ეს წამალი ხვალ ათ საათამდის არ იქნება მზადაო. ნუ თუ არის იმისთანა წამალი აფთიაქში, რომელიც თექვსმეტის საათის განმავლობაში არ დამზადდეს და ან თუ ავადმყოფი გასძლებს ამდენის ხნის განმავლობაში უწამლოდ?! ჩვენ თუმცა-და სხვა-და-სხვა საშუალებით გადავუჩინეთ სიკვდილს, მაგრამ ბნ ნ. ლ—ს აფთიაქში თუ ამ რიგად ექცევიან სხვებსაც, ბევრს ადამიან გამოუხლეჩენენ წუთი-სოფელს. დიდად საყურადღებოა აფთიქარის ასეთი საქციელი. იქნება აწი მაინც თექვსმეტ საათობით არ აცდევინოს გაჭირვებულ ავადმყოფს იმისთანა წამლის გაკეთებისათვის, რომელიც სხვა აფთიაქებში ოც-და-ხუთის წუთის განმავლობაში მზადდება.

ივანე ტ. ესბეუ



ᲠᲝᲘᲐᲚᲔᲑᲘ



ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ

ფას-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ტენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—17)

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ, მისის თანადასწრებით, 10 სექტემბერს, შუადღის 1-ლ საათზე, ხელ-მეორე საჯარო ვაჭრობა იქმნება იმ იჯარის გასაცემად, რომლითაც მოიჯარადრეს 12000 ფუთი ნავთი უნდა წარადგინოს ქალაქის ქუჩების გასანათებლად.

იჯარის პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1-ლ საათამდე, კვირა-უქმეს გარდა. (3—5.—2)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲘᲡ ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამო გონილი

ახალი მარგვეული სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—5.—10)

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, რაგორც ქალებს, ისე კაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჩგალტერია (მარტივი, ორეული და სამაგკოი), 4) არითმეტიკა სასანგარაშო ოთახით, 5) საკომერციო მიწერა-მოწერა, 6) საკალიგრაფიო ანბანი ფესვიანი წერილებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა-გაკეთება და შნოანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრ დგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების საგამში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგეევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების სპარკა კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. შანუალიანტს, ტფილისს. (24—23)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ ᲨᲘ—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ—ქალთა დანელოვების სამკერვალოში და სოფ. ᲥᲣᲮᲨᲘ—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—5.—23) ნ. წერეთელი

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲖᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ

ყაზბეგისა და მამია გურიელის სასეების ზედ გამოსატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

სიყალბეს ერიდეთ!

სავაჭრო სახლი „ი. გოკელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—8)

Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Августа 1899 г. სტამბა ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡ და ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.